

სპორტული ლელი

1978 წ.
№ 239
(6294)
დეკემბერი
სუთხაბათი.
ფასი 3 კაპ.
გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

საპარტოვლოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და კრიფსპორტის რესპუბლიკური საბჭოს ორგანო


ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

საქართველო
თბილისის საბჭოს სახალხო ზრდადამავ ხელშეწყობით გამოდის საქართველოს სსრ-ის სპორტული ლელი.
(შევიბრების პირველი დღის ანგარიში იხილეთ მე-4 გვ.)
სურათზე: მომენტი საქართველოსა და პოლონეთის ნაკრები გუნდების შეხვედრიდან. გარდევანზე საქართველოს ნაკრების წევრი ა. ნავროზაშვილი.
ე. ხუცურაულის ფოტო.



6 ლიღარი

გადაღებული პარტიების დამთავრების დღისთვის, რომელიც პირველი სამი ტურის შემდეგ მოეწყობა, დაგროვდა 8 გადაღებული და ტურიდან გამოტოვებული ე. სევენიკოვი — ვ. ცეშკოვის პარტია.
თამაშის განახლებისას მოულოდნელი არაფერი მოხდარა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში გ. ტომშინკო — თ. გიორგაძის პარტიას, რომელშიც ქართველ დილისტატს ორი პაიკი აკლდა და მისა გადარჩენა პრობლემატური იყო. გიორგაძის სასახელოდ უნდა ითქვას: მისი ანალიზი უნაკლო იყო და მან შეძლო მნიშვნელოვანი ნახევარი ქულის მოპოვება.
აი, ამ პარტიის დაბოლოება:



შედეგის (გიორგაძის) ფიგურების განსაკუთრებით მეფის, აქტიური განლაგება ანალოგურს მატერიალურ დანაკლისს. 43. ... მის3-ს მოკვებოდა უსიამოვნო 44. კ3. პარტიის გადაღებისას თბილისელმა მოჭადრაკემ დაცვის ერთადერთი გეგმა მოახსია: 43. ... მც5! 44. კd8 მd7 45. h4 გh 46. მ:h4 მეხ3 47. მგ2 მd5! (მხოლოდ ასე. 47. ... მე2 48. მე2 გ2 მე2 49. კe7 შემდეგ შედეგს დიდი სიმწიფეები იქნებოდა) 48. მე3 მე3+ 49. fe მე5h (დროულაა, ახლა თუ 50. კ:f6 მე4 51. კd4 მე3+! 52. კ:e3 მე2 53. კ:e5 მე3 54. მე2 მე4 და უკრა 53 კუს საწინააღმდეგო ფერისაა, ამიტომ ყაიძი) 50. ... გ5 fg 51. კ:გ3

მც4 (მეგრამ არა 51. ... მეხ2 52. კ:f6-ის გამო) 52. მე2 მე2 53. კe7 მე3 და რამდენიმე სეკის შემდეგ მეტოქენი დაზავდნენ.
გადაღებული პარტიის ანალიზის დროს ო. რომანიშინი დარწმუნდა, რომ მისი უპირატესობა მ. ტალთან ერთდების ენდშილში მოგებიანის უკუპირი იყო, ამიტომ მეტოქენი თამაშის განუხლებლად ყაიძზე შეთანხმდნენ. ტალმა სატურნირო ცხრილში პირველი ქულაც ჩაიწერა — მოუგო ო. დორფმანს. პარტია ასე გაგრძელდა (შეწყვეტილი პოზიცია იხ. "ლელოს" 237-ე ნომერში): 42. მე4 მd5+ 43. მეგ3 მე3 44. კe2 გ3 45. გ:f3+ მე2 46. გ:f4 მემ 47. გ:f7. შედეგი დაწვრილდნენ.

ა. მიხაილიშინმა ადვილად სძლია ტომშინკოს. სამ პარტიაში (ი. რაზუვაევი — ვ. ტუქმაკოვი, ბ. გულკო — ს. მაკარინევი, ლ. პოლუგაევსკი — ბ. გულკო) რაზუვაევისა და გულკოს მოგებაზე თამაშის ცდას წარმატება არ მოუყოლია. ეს შეხვედრები ყაიძით დამთავრდა.

საინტერესო ეტლების ენდშილი შეიქმნა გ. კუზნინ — რაზუვაევის პარტიაში. ჩვეულებრივ, ეტლების ენდშილი, სადაც ერთ ფრთაზე სამი პაიკი ორის წინააღმდეგ, ყაიძით მთავრდება. მაგრამ რაზუვაევის გვირგვინისანი საშა-მათო ქსელში გაეხა და დაცვა შეუძლებელი გახდა. რაზუვაევი და-მარცხდა.

მთავრად მიმდინარეობდა სევენიკოვი — ცეშკოვის პარტია, რომლის ეფექტური ფინალი მუღდივი ქიშით დასრულდა.

ამრიგად, დამთავრდა პირველი სამი ტურის ყველა შეხვედრა. ლიდერობს ექვსი მოჭადრაკე — ტალი, ბელიავსკი, კუზნინი, რომანიშინი, სევენიკოვი და ცეშკოვი — 2-2 ქულა. მომდევნო ექვსეული (ბაგიროვი, გიორგაძე, გულკო, კასპაროვი, მაკარინევი, პოლუგაევსკი) დაწინაურებულებს ნახევარი ქულით ჩამორჩება, ხოლო კიდევ ერთი ექვსეული (დორფმანი, გულკო, მიხაილიშინი, რაზუვაევი, ტომშინკო, ტუქმაკოვი) — თითო ქულით.

დღეს, V ტურში ერთმანეთს შეხვდებიან: გულკო — ცეშკოვი, ბაგიროვი — რომანიშინი, მაკარინევი — სევენიკოვი, პოლუგაევსკი — დორფმანი, ტუქმაკოვი — კასპაროვი, კუზნინი — გულკო, ტომშინკო — ბელიავსკი და გიორგაძე — რაზუვაევი.

მ. მიხაილიშინი,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

სურათზე: თ. გიორგაძე თამაშს დროს.
ს. კლაძის ფოტო.



ტურა

ლენინგრადში დამთავრებულ სსრ კავშირის მოტურაგეთა თასის გათამაშებაში, სადაც სპორტსმენები მრავალკლდში ეჭიბრებოდნენ ერთმანეთს, III ადგილი დაიკავა თბილისის ლინაგოლა ო. კუშკელიოვი. მან ამ წარმატებას სტაერთა შეჯიბრებაში — 400, 200, 50 და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ტურებში მიაღწია. გურამა შესაბამისად 4.06,08; 1.57,93; 26,20 და 15.45,01 აჩენა. საერთო ჯამში მისი შედეგია — 22.25,85.

პრივი

თბილისში, „განთიადის“ ბავშვთა სპორტკოლის დარბაზში გაიმართა ამავე სპორტკოლის აღსაზრდელებისა და ახალციხელი მოკრივეების სამატჩო შეხვედრა. 13 ორ-

ფენხურთი

სოხუმის სტადიონზე გაიმართა ფეხბურთში სეზონის პრივის — გახვთ „საბჭოთა აფხაზეთის“ თასის პირველი გათამაშება. ერთმანეთს შეხვდნენ აფხაზეთის ჩემპიონი გულაუთის „აგრომობლის-ტი“ და აფხაზეთის თასის მფლობელი სოხუმის გემთშემკეთებელი ქარხნის გუნდი.
მატჩის (მას სჯიდა — საკეშირო

აღსანიშნავია, რომ კუშკელიოვი სტაიერთა შორის ყველაზე მეტად გამოავლინა სპორტერის თვისებები — ყველას აჯობა 50 და 200 მეტრზე ტურებაში, ხოლო 400 მეტრზე II იყო.

მრავალკლდში გაიმარჯვა მსოფლიოს ორჯის ჩემპიონმა, ლენინგრადელმა ვ. სალნიკოვმა (22.05,20), II ადგილზე გავიდა მოსკოველი მ. შიავკოვი.

თბილისიდან 9-ში გაიმარჯვეს მასპინძლებმა. კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოავლინეს გახვთადელებმა მ. ჩაღუნელმა, ა. მარიაშვილმა და თ. ტალიაშვილმა. აგრეთვე, ახალციხელმა ვ. ბურმელიცემ.

მ. ხარბიანი,
შ. ჯალალონია.

ტანვარაზი

ინსტიტუტის იუბილეს მიეძღვნა

ამ დღეებში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დაარსებიდან 40 წელი შესრულდა. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ინსტიტუტის სპორტულ ბაზაზე მრავალი საინტერესო სპორტული შეჯიბრება გაიმართა. ერთერთი მათგანი იყო სპორტულ ტანვარჯიშეთა ტურნირი, სადაც სპორტის ოსტატებმა, ოსტატობის კანდიდატებმა და პირველთაონი-გოსნებმა მონაწილეობა მიიღეს.

პირად ჩათვალაში სპორტული თანრიგების მინდვით გლონათა შორის გაიმარჯვეს ლ. ნავროზაშვილმა (სპორტული ფაქულტეტი), ლ. თედორაძემ (მედაგოგიური ფაქულტეტი) და ნ. შევილიძემ (სპორტული ფაქულტეტი). ვაჟთა შორის კი უძლიერესები იყვნენ ჟ. ალთუნაშვილი (სპორტული ფაქულტეტი) და გ. აბულაძე (მედაგოგიური ფაქულტეტი).
საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილზე სპორტული ფაქულტეტის II კურსის ტანვარჯიშეები გავიდნენ.

მ. ნავროზაშვილი.

წოდებათა მინიშება

საბჭოთა კავშირის 1978 წლის ჩემპიონის — თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის მომზადებაში ნაყოფიერი მუშაობისთვის საქართველოს სპორტომიტეტმა „საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის“ წოდება მიანიჭა კ. შ. ასათიანს.

დაჯილდოება

რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში აქტიური მუშაობისა და მაღალკვალიფიციური სპორტსმენების მომზადებისთვის, დაბადების 60 და შრომითი საქმიანობის 40 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სპორტომიტეტმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი შშლე-ოსნობაში ა. ს. კერხელიანი.

ქალკაქი

ზრუნა, მ დეკემბერი (დეკემბერი, ჩვენი ხანა. კორ.). გუშინ ქალთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალური ტურნირის მონაწილეებმა დამთავრეს პირველი სამ ტურში გადაღებული პარტიები.
ზედნეულ მესამე პარტია მოიგო სსრ კავშირის ორჯის ჩემპიონმა მ. რაიკუმ (ტალინი), ამჯერად კიდევ ოსტატ ლ. ლისენკოსთან.
5. იოსელიანმა თამაშის განუხლებლად დამთავრდა ნ. გურიელთან. ტ. ზატულაშვილმა (მოსკოვი) მოუგო თ. გიორგაძეს (ნახევრეხე ჩელნი).

დაწინაურდა მანია რანიკაუ

ორი პარტია დამთავრა სსრ კავშირის ჩემპიონმა ლ. სეპიონოვამ (კიევი). იგი დამარცხდა ლ. ზაიცევისთან (მოსკოვი) და დუ-ზავდა ზატულაშვილს. ასევე ყაიძით დასრულა შეხვედრები თ. ხუგაშვილმა ჯერ ნ. ტიტორენკოსთან (მოსკოვი), მერე ზაიცევისთან. ყაიძზე შეთანხმდნენ ტატორენკო — ტ. ჩიხოვა (მოსკოვი).
3 ტურის შემდეგ ლიდერობენ: მ. რაიკუ — 3 ქულა. ტ. ზატულაშვილი — 2,5, მ. ლიტინსკია (ლვოვი) — 2 და 1 გადაღებული პარტია, ნ. გურიელი, ტ. ჩიხოვა, ნ. ტიტორენკო, ლ. ზაიცევა — 2-2.





საქართველო
საქართველოს მთელი წლის მანძილზე

მთელი წლის მანძილზე
მთელი წლის მანძილზე დღი ხანი მთელი ჩემი გეგმები დაკავშირებულია მისთვის ოლიმპიადისთან. აი, რატომ? რადგან დღეს ჩემთვის მთავარია 1980 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება და მასში მონაწილეობა. — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა ფინეთის მძლეოსნობის ახალმა ვეპრსკლავმა მარტი ვაინიომ, რომელმაც ბევრისთვის მოულოდნელად, პარიის ევროპის ჩემპიონატში 10-კილომეტრიან დისტანციასე უჭირს გოლო დისკუტორა.
27 წლის ინიერი ცხოვრობს და მუშაობს ტურქულში, სადაც ალბერტული ლეგენდარული მორბენლის პავეო ზურმის ძეგლი, რომელიც ჯერ კიდევ სპორტსმენის სიტყვებში იქნა დადგენილი. ბოლო წლებში ფინეთის სპორტულ ლიდებას უკავშირდებოდა ოთხჯერ ოლიმპიური ჩემპიონის ლ. ვირენისა და ორჯერ ევროპის ჩემპიონის ი. ვიათიანენის სახელებს. დღეს სპეციალისტები ვაინოს სამართლიანად თვლიან ვირენისა და ვიათიანენის ტრადიციების დირექტულ გამგრძელებლად.

— ბავშვობიდან მტაცებდა სპორტი, — თქვა მარტიმ, — მაგრამ სერიოზულად ვარჯიშს არმიოში სამსახურის დამთავრების შემდეგ, 20 წლისამ დაიწყო. ბოლო წლებში ბევრი და უსლოდგინებ ვივარჯიშე, ჩემი აღსაზრდელის მიერ ვარჯიშის დროს ბოლო 7 წლის განმავლობაში „დფარული“ კილომეტრები რომ შევკრებოთ — ამბობს მწერტნელი ა. პოტინკარა, — დღემდე მისი სფეროს შემოუვლიდა.
— განსაკუთრებული „საიდუმლო“ არა მქვს, — აღნიშნა ვაინიომ, — ვვარჯიშობ მთელი წლის განმავლობაში დღეში ორჯერ, სხვადასხვა დღეს 15-დან 40-მდე კმ-ს ვვარჯიშე. დღეს ვეწევი დღის ვარჯიშით 10 კმ-ზე. მუშაობის დამთავრების შემდეგ ვვარჯიშობ ხან ვრედიონზე, უფრო ხშირად — ავილობრიკად. ერთი წერტნის ერთ-ერთი უსაყარლესი საშუალებაა, მარტი ვანტიკურად ერთგულია რბენისა, — ამბობს მისი მწერტნელი. — იგი მუშაობს ტურქულში ვიარტისილის გემსაზე, სადაც, სხვათა შორის, სსრ კავშირის დავითიან ბევრი გემი შენდება. მთელ თავისუფალ დროს იგი სპორტს უთმობს.

ევროპის პირველობის წინ ფინეთის ჩემპიონი ევროპის რანგების ტაბელში X ადგილზე იყო. პარალელურად მთავრების შემდეგ მან გაუსწრო ბევრ ალიარტულ ოსტაუსს და თითქმის 30 წამით (!) გააუმჯობესა თავისივე მიღწევა.
ვაინოს აზრით, დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში მისი ძირითადი მეტოქეები იქნებიან ინალისელი ბ. ფოსტერი, საბუთის სტაიერი ე. სელიკი და ლ. ვირენი. რომელსაც, მარტის აზრით, ბოლომდე არ გამოუვლენია თავისი შესაძლებლობა. „დაწმუნებული ვარ, რომ ვერტნი ისაბარეზებს ოლიმპიადა-80“-ში, — თქვა ვაინიომ.

— წლებიანდელი სეზონი, რომელიც ჩემთვის მეტად სასასუსის-მგებლო იყო, არჩვეულებრივად იღობიანი გამოდგა, — თქვა ბოლის ვაინიომ. — წარმატებები თავისით არ მოსულა. ვანტიკულ-ობამ ხელი შემეწყო და ვვარჯიშობდი, როგორც არასდროს, ბევრს და პარალელურად. სწორედ ვარჯი საერთო ფიზიკური მდგომარეობის წყალობით მივადწე მაღალ შედეგებს.
ძალიან მინდა მონაწილეობა მივიღო 1979 წლის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადში. (საკდესი).

„მისუმოს“ ვირბა — ოლიმპიელის
ნიკონის ტანსაცმლის ფირმა „მისუმოს“ ოლიმპიადა-80-სთვის განაწესა ერთი მთავარი განუთხილია ტალისის სიალქნო რეგატის მონაწილეთათვის, მეორე კი — ოლიმპიური ჩირბლენის წამლებათათვის. — მისი მთელი მიზნუტის მანძილზე საბერტნეთიდან მოსკოვამდე.

— ამ ჩემპიონატში რესპუბლიკის ყველა საუკეთესო ხელოვნური მონაწილეობდა სპორტის ოსტატების დ. გრიგორისა და ი. ბრიზვალთის ვარდა (ისინი საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს). მართალია, საბრისო ადგილზე ვასულმა სპორტსმენებმა საკმაოდ მაღალი შედეგები აჩვენეს, მაგრამ დანარჩენების სპორტული ოსტატობის დონე

ახლანან დაბრუნდა საბჭოთა არმიის რიგებიდან. მორტხოვმა 5159 ქულით IV ადგილი დაიკავა და ოც მთავარია, თანაბრად გამოვიდა ცალკეულ სახეობებში. აქვე უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ხელოვნური ფაქტურად მხოლოდ თბილისშია — დანიეგლი. დროა, რესპუბლიკის დიდი ქალაქებისა და რაიონების სპორტულმა ორგანიზაციებმა სპორტის ამ სახეობის განვითარებისათვისაც იზრუნონ.
ამ დღეებში თბილისში გაიმართება საქართველოს სპორტკომიტეტის პრისის ვამამაშემა თანამედროვე ხელოვნური ტექნიკურ სახეობებში (ფარჯიკობა, სროლა და საეხენოსნო სპორტი). ამ შეჯიბრებაში მასპინძლობთან ერთად ბელორუსის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის საუკეთესო ხელოვნური იასპარეზებენ. ჩვენი მთავარი მიზანია, მაქსიმალურად გამოვიყენოთ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადამდე დარჩენილი დრო და ყოველმხრივ მომზადებული შევხედოთ სამაშულო სპორტის ამ დიდ ფორუმს.

ბ. აშირიძე.

საქართველოს სპორტის მანძილზე

გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო „დინამოს“ პირველი ნაკრები — 15648 ქულა. შემდეგ მოდიან „სპარტაკის“ (14731) და „ბურჯვესტნიკის“ (პირველი ნაკრები, 14555) გუნდები.

აი, რა გეითობა ასპარეზობის დამთავრების შემდეგ საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარმა მწერტნელმა თანამედროვე ხელოვნური მანჯავიკემ:

ჯერ კიდევ სასურველზე დაბალია, თან ხელოვნური სახეობებში არათანაბრად არიან მომზადებულნი. მაგალითად, თ. ახალშენიშვილი ოთხი სახეობის შემდეგ ლიდერობდა, მაგრამ მძლეოსნურ კროსში ერთბაშად 300 ქულა წააგო ი. სამსონოვთან და საბოლოოდ II ადგილზე დარჩა. პერსპექტიული ხელოვნური სახელი დიმიტრიანა თბილისელმა ი. მორტხოვმა, რომელიც

მთავარი
გამოცდა —
სსრ კავშირის
ხალხთა
VII სპარტაკიადა

თანამედროვე ხელოვნური

თბილისში დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი თანამედროვე ხელოვნური სასპარტოლ გამოვიდა „დინამოს“, „ბურჯვესტნიკისა“ და „სპარტაკის“ 32 ხელოვნური. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებაში კონკურსგარეშე გამოდიოდნენ სომხეთის სპორტსმენები.

ასპარეზობის ტექნიკური შედეგები ასეთია: პირადი ჩათვლა. 1. ი. სამსონოვი („დინამო“, თბილისი) — 5377 ქულა; 2. თ. ახალშენიშვილი („ბურჯვესტნიკი“, თბილისი) — 5257; 3. მ. ნოვოსელცოვი („დინამო“, თბილისი) — 5162.

პირადი — მეორე, გუნდური — მესამე

უკვე ვიტყობინებოდით, რომ ჩელიაბინსკში გამართულ წყალში მხტომელთა საკავშირო პირველობაში ქალთა შორის თბილისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ლ. ცოტაქემ 7-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში II ადგილი დაიკავა. ახლა ვთავაზობთ სპორტის ოსტატ მ. ნოვამის წერილს, რომელშიც ლაბარაკია საქართველოს გუნდისა და სხვა სპორტსმენების შეჩვენებლებზე.

წყალში მხტომეობა ოქტომბრიდან დღემდე მთელი ახალი სეზონისთვის ემზადებიან ხოლმე. ამ პერიოდში მეტ დროსა და ყურადღებას უთმობენ საერთო ფიზიკურ მომზადებას, ითვისებენ ახალ, უფრო რთულ პროგრამას, ხევენ ნადავ ელემენტებს. ამ პერიოდში ოლიმპიური სიმძლევებიდან — 10-მეტრიანი კოშკიდან და 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ასპარეზობები ადარ ტარდება. სპორტსმენები უფრო და-

ბლა 5-7-მეტრიან კოშკზე და 1-მეტრიან ტრამპლინზე ვადადიან. თანაც წყალზე სასპარტოლ დიშეებიან მხოლოდ ის მონაწილენი, რომლებიც აკრობატიკაში, ბატუტზე და ე. წ. „შპრალ ტრამპლინზე“ შეჯიბრებაში საქირო რაოდენობის ქულებს მოაგროვებენ.

ჩელიაბინსკში ახლანან დამთავრებული საკავშირო პირველობაც ამ პირისციბით ჩატარდა — მისი მონაწილენი ჯერ დარბაზში ცდიდნენ ძალას, შემდეგ აუზში — 7-მეტრიანი კოშკიდან და 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ასპარეზობდნენ. საქართველოს გუნდმა დიდ წარმატებას მიაღწია — რსფსრ-ისა (305 ქულა) და ბელორუსის (121) კოლექტივების შემდეგ III ადგილი დაიკავა — 65 ქულა.

ჩვენი რესპუბლიკის 5 წარმომადგენლიდან სამი — საერთაშორისო კლასის ოსტატები ლ. ცოტაქე, ს. შალიბაშვილი (ორივე — ფიზიკულტურის ინსტიტუტის სტუდენტია) და ოსტატი ი. გუტიაკულო-

ვა წინასწარი ტურნირის მეორე ფინალში მოხვდნენ.
განსაკუთრებით კარვად გამოვიდა ცოტაქე, რომელმაც გუნდს 32 ქულა მოუტანა. მეორე კი სპეციალურ ვარჯიშებში მანვე 7-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში II ადგილი დაიკავა — 351,67 ქულა. მის აჯობა ტ. ბელიაკოვამ — 372,60. III ადგილიც ბელიაკოვას თანაგუნდელს ე. მატეუსენკოს (346,05) ერგო.

1-მეტრიანი ტრამპლინიდან ი. გუტიაკულოვმა VI ადგილზე გავიდა — 393,63; პირბითები ვახდნენ რსფსრ-ს გუნდის წევრები ი. უშნოვა — 445,27, მატეუსენკო — 420,65 და ე. სონინ — 419,22. მანამდე კი, აკრობატიკის, ბატუტზე და „შპრალ ტრამპლინზე“ ხტომის კამში დაწინაურდნენ ასევე რსფსრ-ს გუნდის წევრები, ცნობილი ი. კალინინა, რომელმაც 111 ქულა მიიღო, თ. მირტოვა (110) და ა. სტასულევიჩი — 103,82.

ვაეებში აკრობატიკაში, ბატუტ-

წყალში სპორტი

ზე და „შპრალ ტრამპლინზე“ ხტომაში ყველაზე უკეთესად გამოვიდა ი. მინგაზოვი — 113,94. მომდევნო ადგილები ხვდათ ა. კოვალევსკისა (ორივე — რსფსრ) — 111,36 და ი. პორტნოვს (ბელორუსია) — 108,44.
7-მეტრიანი კოშკიდან შეჯიბრებაში თბილისელმა ს. შალიბაშვილმა 465,34 ქულით VI ადგილი დაიკავა. საბრისო ადგილები ერგოთ ე. ტროშინს (რსფსრ) — 606,11, რ. ამბარტუმიანსა — 566,91 და ბ. ბლადიანს (ორივე — სომხეთი) — 565,11.

1-მეტრიან ტრამპლინზე საბრისო ადგილები ასე განაწილდა: ს. კუზმინი — 631,69, ა. კალმიუკოვი (ორივე — რსფსრ) — 627,01, ს. კოსენკოვი (ბელორუსია) — 603,34.

მ. ნოვამი,
თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკულტურის ფაკულტეტის უსრნალისტიკის განყოფილების II კურსის სტუდენტი, სპორტის ოსტატი.

ერთი უახიბრების მრავალი მიზანი

სულ რაღაც სამიოდე წლის წინათ ვახსენა საკურო აუზი რუსთავეში, მაგრამ მეტალურგთა ქალაქის ნორჩი მეტალურგებზე უკვე პირველ წარმატებებს იმკიან.

ახლანან თბილისში, ვაის საცურაო აუზში დამთავრებულ „გახსთიანს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე, სადაც 1964-65 წლებში დაბადებული მოცურავეები გამოდიოდნენ, საერთო გუნდურ ჩათვლაში რუსთაველებმა 222 ქულა მოაგროვეს და III ადგილი დაიკავეს. პირველი იყო თბილისის ნაკრები — 406 ქულა, ხოლო მეორე აპარელთა გუნდი — 245 ქულა. მათ გარდა შეჯიბრებაში გამოდიოდნენ ქუთაისისა და აფხაზეთის მოცურავეები. სამწუხაროდ, სარბილზე ვერ იხილეთ კიათურელთა გუნდი. ეს მით უფრო საწყენია, რომ „შავი ოქროს“ ქალაქის წარმომადგენლებს უკვე ათეული წელია, რაც ზამთრის საცურაო აუზი აქვთ.

ახლა კვლავ რუსთაველებს დაგუბრუნდეთ. როგორც ჩანს, რუს-

თაველები თუ ასე ვააგრძელებენ მუშაობას, ისინი ახლო მომავალში, ასეთსავე შეჯიბრებაში, ალბათ II ადგილზე გადაინაცვლებენ. ამას ისიც ვაფიქრებინებს, რომ რუსთაველებმა 1965 წელში დაბადებულთა გუნდურ ჩათვლაში სწორედ II ადგილი მოიპოვეს თბილისელთა შემდეგ.

რუსთაველი მოცურავეებიდან, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ე. ქოჩიაშვილი, ს. ბოროდინოვი და დ. ბიოშვილი. ე. ქოჩიაშვილმა 1964 წელში დაბადებულ ბიჭებს შორის 100 და 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვა მიიგო. მან შესაბამისად 1.18,0 და 2.49,7 აჩვენა. ახლა, როცა საქართველოს ბრასისტებს ისე უჭირთ, როგორც არასდროს, შესაძლოა მათი ლიდერის როლი, სწორედ ქოჩიაშვილმა იკისროს, რადგან მისი ფიზიკური მონაცემები დიდ იმედებს იძლევა.

ს. ბოროდინოვმა ყველას აჯობა 1964 წელში დაბადებულ ბიჭების 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ, აგრეთვე, 200 მეტრზე ბატ-

რფლით ცურვაში. მისი შედეგებიც (შესაბამისად 2,32,4, 5,24,0 და 2,29,9) იმედის მომცემია. დ. ბიოშვილი ოთხჯერ გამოვიდა 1965 წელს დაბადებულ მოცურავეთა სტარტზე და ოთხივეჯერ II ადგილი დაიკავა.

რუსთაველთა წარმატებებზე რომ ვსაუბრობთ, აქვე უნდა ვავისენოთ მეტალურგთა ქალაქის მოცურავეთა მწერტნელები: რ. გრვანდინი, ა. ითაკიმიდი და ნ. მინასაშვილი. რუსთაველთა წარმატებები, პირველ რიგში, სწორედ მათი დამსახურებაა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისინი კვლავ დიდი მონდობებით, მომავლის რწმენით იმუშავენ.

შეჯიბრებაში აბსოლუტურად საუკეთესო შედეგები აჩვენეს თბილისელმა ლ. ციბულსკიამ და ი. გერასიმოვამ. ეს ორად ორი სპორტსმენი იყო, რომლებმაც სპორტის ოსტატობის კანდიდატის შედეგებით გაიმარჯვეს. პირველმა ასეთ წარმატებას 200 მეტრზე გულამა ცურვაში (2,36,6) მი-


ცურვა

ლწია, ხოლო მეორემ — პროგრამის ამავე სახეობაში (2,40,5) და 200 მეტრზე ბრასის სტილით (ცურვაში (3,01,8), ამას გარდა, ორივემ ცხრა-ცხრა გამარჯვება იხილა.

რაც შეეხება შეჯიბრების მიზანს, ეს ასპარეზობა შესარჩევი იყო პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების საკავშირო პირველობისთვის, რომელიც დეკემბრის მიწურულს ნოვოპოლიკში გაიმართება. იქაური სტარტები, თავის მხრივ, ვაზეთ „კომსომოლსკია პრავდას“ პრისის მოსაოველად საკავშირო პირველობის მონაწილეებს გამოავლენს. ეს სტარტები კი სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის საშადადის ითვალისწინებს.

ნ. სოზარია,

სურათებზე (მარცხნიდან):
დ. ბიოშვილი, ლ. ციბულსკია, ს. ბოროდინოვი და ი. გერასიმოვი;
3. ქოჩიაშვილი ასპარეზობისას.
ავტორის ფოტოები.



ავტორის ფოტოები.



ხელპირთა ვაშთა XII საერთაშორისო ტურნირი „სარია ვოსტოკას“ პრიზზე

ბ. ანაილოვოვი და ა. ტაბიძის არყოფნა საქართველოს გუნდში, ცხადია, მნიშვნელოვნად იმოქმედებდა მის შემდეგ ძალაზე. სამაგიეროდ დიდი გახარდა საბჭოთა ნაკრების „მრისხანება“.

მართლაც და ჩვენი ქვეყნის მთავარმა გუნდმა, რომლის შეხვედრით ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებთან გაიხსნა ხელპირთა ვაშთა XII საერთაშორისო ტურნირი გახვთ „სარია ვოსტოკას“ პრიზზე, დამაჯერებელი გამარჯვებით აიღო სტადიონი, თბილისის ტურნირში. მართლაც, ანგარიში იუნიორთა გუნდის კაბიტანმა ა. კორშაკიძემ. გახსნა, მაგრამ რანგით უფროსებმა სწრაფად უპასუხეს მეტოქის გაბედულ „რეპლიკას“ და უკვე მე-მედივე წუთისთვის წინ იყვნენ ითხი ქულით — 8:4, ახალგაზრდებმა შემდგომ შეძლეს მინიმუმამდე შეემცირებინათ სხვაობა — 8:7, მაგრამ ეს იყო და ეს. პირველმა ნაკრებმა ტაიმი დამაჯერებელი სხვაობით (17:9) მოიგო, ხოლო მთლიანად მატჩი აშკარა უპირატესობით — 40:22.

გამარჯვებულთაგან ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს თ. გაგინმა (11) და ა. ტაბიძემ (8). ახალგაზრდულ ნაკრებში თავი გამოიჩინა ა. რამიანოვი — 5 ბურთი.

მაყურებლები დიდი ინტერესით მოელოდნენ რუმინეთისა და ავსტრალიის ნაკრებთა ორიბურთულას — ეს გუნდები ხომ ტრადიციულად უძლიერესთა რიგებს განეკუთვნებიან. ვარაუდი გამართლდა — ბრიტან პირველსავე წუთებიდანვე მწვერულს დასაინტერესო იყო, თუმცა იუგოსლავიელებმა ამ ტურნირზე ერთობ შესუსტებული, შეიძლება ითქვას ახალგაზრდული შემადგენლობით ჩამოვიდნენ, მაშინ, როდესაც რუმინელთა ნაკრებში სამი მსოფლიოს

ჩემპიონი თამაშობდა — მეყარე ნ. მუნტიანუ, ცნობილი ბომბარდირი შ. ბირტალანი და რ. გოინა.

1:0 — დაწინაურდნენ რუმინელები, შემდეგ — 2:0, 3:1, 3:3, 4:4, 9:9, 10:10, 11:10 და 11:11. მეორე ტაიმიში შ. ბირტალანისა (მან ამ დღეს 8 ბურთი გაიტანა) და მისი პარტნიორების ოსტატობამ „სათქმელი თქვა“. რუმინელებმა შეძლეს გამარჯვება ამ ძველ მატჩში — 22:16.

ჩეხოსლოვაკია-საქართველო, სტუმრების უპირატესობაში აქ ექვივალენტი იყარებოდა. მართლაც და მასპინძლებმა მხოლოდ შეხვედრის მერვე წუთამდე იყვნენ წინ



ს ა ს ა ს ლ ი ს თ ა დ ე მ ბ ქ ვ ე შ

— 3:2. ბურთები მეყარე შ. ხარინის კარში გაიტანეს ვ. ნარინიძემ (2) და გ. ბერიანოვიძემ. დაწყებული აქედან სახელგანთქმული მწვრთნელის რ. ხაელიძის (იჯ მსოფლიოს 1967 წლის ჩემპიონია) აღსაზრდელებმა ხელი იგდეს ინიციატივა და გაიმარჯვეს ანგარიშით 34:23 (17:12). ყველაზე მეტჯერ აიღეს მეტოქეთა კარი ჩეხოსლოვაკელებმა ვ. სოლდვარმა (7) და გ. ხარიანიძემ (6).

ამ მატჩში მასპინძლებმა, ასე ვთქვათ, დიდი ხელბურთის რამდენიმე ფრაგმენტი აჩვენეს (გ. ნარინიძის ელვისებური ვარდევები, ვ. ბერიანოვიძის ეფექტური მეტრაიანი და სხვა), მაგრამ ფიზიკურ მომზადებაში ჩამოუვარდებოდნენ სტუმრებს, რამაც ძირითად

ად განაპირობა კიდევ მატჩის ბედი.

გუნდის თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა მეორე ტურის მორიგი სამი შეხვედრა: სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრები — ჩეხოსლოვაკია — 24:24 (12:16); სსრ კავშირი — რუმინეთი — 23:22 (11:8); იუგოსლავია — საქართველო — 29:20 (15:11).

დღეს რუმინეთის გუნდი ხელგაშვითი ახალგაზრდულ ნაკრებს, ჩეხოსლოვაკია — იუგოსლავიას, საქართველო — სსრ კავშირის ნაკრებს. ხელ ტურნირზე გამოსასვლელიცაა.

მ. ოთარაშვილი.

სურათებზე: შეძლებს თუ არა ზ. დოლიძე მეტოქის დაცვის გარღვევა; ი. ნარინიძე ბურთის მოლოდინში.

ხელპირთა

სსრ კავშირის ხელპირთა ქალთა ნაკრებმა გამარჯვებით აიღო სტადიონ ბრატისლავაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ექვსეულის ტურნირში. ანგარიშით 19:13 (9:5) მან დაამარცხა უნგრეთის გუნდი.

თი, დანარჩენ შეხვედრათა შედეგები: გერ — პოლონეთი — 25:10 (11:4); ჩეხოსლოვაკია — იუგოსლავია — 13:13 (8:7).

ფეხბურთი

გერ 10 თამაში — 10 მოგება! ასეთი შედეგი ამ ქვეყნის ფეხბურთის ისტორიაში ჯერ არავის ჰქონია — ბერლინის „დინამო“ მტკიცედ ლიდერობს.

X ტურში ბერლინელებმა შინ მიიღეს რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „მაგდებურგი“, თამაშის მეორე ნახევარში დინამოელებმა პელოკამ და ნეთცმა 2 გოლი გაიტანეს მეტოქის კარში (ეს ნეთცის მე-9 ბურთია ამ სეზონში, იგი ლიდერობს სწრაფობაში შორის). II ადგილზე მყოფმა დრეზდენის „დინამომ“, რომელიც ერთტურში გათამაშებდა „როტ-ვაისს“, ფრედ დაამთავრა მატჩი — 0:0.

10 ტურის შემდეგ ბერლინის „დინამოს“ 20 ქულა აქვს. მას 4 ქულით ჩამორჩება დრეზდენის „დინამო“, 13-13 ქულა მოაგროვებს „მაგდებურგმა“ და იენის „ჰარლ ცისმა“.

ჩეხოსლოვაკია

XIV ტურში ორი საყურადღებო ამბავი მოხდა: ჯერ ერთი, ლიდერი — ოსტრავის „ბანიკი“ პრაღაში დამარცხდა „სპარტაკთან“ — 1:3, „დუკლა“ პრაღაში თამაშობდა ბოლო ადგილზე მყოფ ვეს-თან (კომიტი) და გაიმარჯვა საჩუკრად ადამიანი — 8:0.

14 ტურის შემდეგ პრაღის „დუკლას“, რომელმაც ერთი თამაში გამარჯვდა, 19 ქულა აქვს. ამდენივე მოაგროვა ოსტრავის „ბანიკი“, ბრნოს „ზბროიოვკას“ 17 ქულა დაუკროვდა.

უნგრეთი

ვტკ-მ (დომბივი) XIII ტურში საკუთარი მინდორზე აჯობა „ფერენცვაროშს“ — 1:0, რომელსაც ეს მარცხი ლიდერობის დაკარგვად დაუქდა. შემდეგაც „ლოკა-უიპეშტი“, რომელმაც სტუმრად ფრედ (2:2) დაამთავრა შეხვედრა „პეითან“. ამასობაში „პონეველაში“ შინ სძლია „შალგოტარიანს“ — 3:1 და ერთპიროვნული ლიდერია ვახდა.

13 ტურის შემდეგ „პონეველს“ 19 ქულა აქვს, „დოჟა-უიპეშტს“, „ფერენცვაროშს“ და ვტკ-ს — 18-18. 16 ქულა მოაგროვა „ბანიკიმ“ (ტატანაი).

რუმინეთი

XIV ტურის ცენტრალური მატჩი გაიმართა ბუქარესტში ადგილობრივ კლუბებს „დინამოს“ და „სტეაუს“ შორის. ფრედ — 1:1. „ბანიკი“ (მარე) საკუთარ მინდორზე წააგო ტიმიშოარის „პოლიტექნიკასთან“ — 0:2.

14 ტურის შემდეგ „სტეაუსს“ 18 ქულა აქვს. 17-17 ქულა მოაგროვებს „არეშეში“ (პიტეშტი), „პოლიტექნიკამ“ (აისი) და „ბაიარამ“ (მარე).

ჩეხოსლოვაკია

ლიდერმა — ზაგრებს „დინამომ“ XV ტურში შინ ძველ ბრძოლაში მოიგო „ოსიეკს“ — 2:1. კვლავ წარუმატებლად თამაშობს „პარტიზანი“, რომელიც დამარცხდა ერთ-ერთ აუტსაიდერთან — იფ-სთან (ბელგრადი) — 0:1. „ოლიმპიამ“ (ლოვლიანა) ბოლოს და ბოლოს მოიგო (1:0) თანამშრომელ „რეკოსთან“, მაგრამ მქულით ისევ ბოლო ადგილზეა.

15 ტურის შემდეგ ზაგრების „დინამოს“ 21 ქულა აქვს, ტიტოგრადის „ბუდუნოსტას“ — 20, სპალიტის „პაილუსას“ და „სარაევოს“ — 19-19.

გერ

მიონენგლადბახის „ბორუსიამ“, რომელსაც აქამდე ძალზე უფერული შედეგები ჰქონდა, XV ტურში საკუთარ მინდორზე დიდი ახარებით (3:1) სძლია ლიდერს, „კაიზერსლუტერენს“. ლიდერმა, რომლის კარს იცავდა ვანტქმული ჰელსტრიომი (შვეიცია), ვერაფერი გააწყო მასპინძლების სწრაფ და ენერგიულ თავდასხმასთან, სადაც განსაკუთრებით გამოიჩინოვდა სო-მონსენი (დანი). „კაიზერსლუტერენის“ მდგომარეობა მაინც საკმაოდ მტკიცეა, ვინაიდან უახლოესმა მდგომარეობაში — „ჰამბურგერ შპორტკლუბთან“, რომელიც მანინის ფრანკფურტში ხელგაშვითა „აინტრაქტს“, ქულა დაკარგა — 0:0. კარგად ითამაშა „შალკე 04“, მა საკუთარ მინდორზე „ბორუსიასთან“ (დორტმუნდი) — 5:1. კომუნა ერთი დღე ანგარიში ალიბაშვა მიუნხენში, სადაც „ბაიერსმა“ სძლია აუტსაიდერს — „ნიურნბერგს“ (4:0). სტუმრების რიგეებში ითამაშა „ბაიერის“ ყოფილმა ნახევარმცველმა პიონესმა.

ტურის დანარჩენი შეხვედრები ასეთია: „ვორტა“ — „შტუტგარტი“ 0:0; „არმიანია“ — „ფორტუნა“ 2:0; „დუსსლური“ — „აინტრაქტი“ (ბრანენბურგი) 1:0; „ვერდერი“ — „დარმშტადტ 98“ 3:0.

15 ტურის შემდეგ „კაიზერსლუტერენს“ 23 ქულა აქვს, „ჰამბურგერ შპორტკლუბის“ — 21, „შტუტგარტს“ — 20.

პოლონია

ამსტერდამის „აიაქსი“ უკანასკნელ ტურებში აშკარად შეფერხდა ამით ისარგებლა მლიერმა პრეტენციულმა კლუბმა „როდამ“ (ერო-ზაფე) და ხელი იგლო ლიდერობაში.

XIV ტურში „როდამ“ სტუმრად თამაშობდა „ვალენცამთან“ და მოიგო — 2:1. „აიაქსმა“ ჰაავაში დაკარგა ქულა „ფე დენ ჰაავთან“ — 0:0.

ახლა „როდამს“ 22 ქულა აქვს „აიაქსსა“ და „ეინდოვერს“ — 20-20.



ეს ყველას დახმარება

გამართიანება „სპორტსაქონელმა“ მონასტრობის უფრო მომსახურების მიზნით უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარა. ახლა მისი კოლექტივი ენერგიულად შრომობს რესპუბლიკის ჩვენი დედაქალაქის ფიზკულტურული კოლექტივების, გუნდების, ცალკეული სპორტსმენების, ფიზკულტურელების საქირო ინვენტარითა და ფორმით უზრუნველყოფისთვის, რომ ამით ხელი შეუწყოს რაიონულ, საქალაქო და რესპუბლიკურ სპორტკავადებში მათ

შროიანდ და წარმატებით გამოსვლის. გეოთიანება „სპორტსაქონელი“ მომხმარებელთა დროის დაზოგვის მიზნით მონასტრობის ახალ მასპინძლს სთავაზობს — თბილისში № 7 მაღაზია „შეფარდენში“ (ვეკინის ქ. № 11) შეიქმნა ინფორმაციის საშახური, რომლის საშუა

ლებითაც შევიძლიათ გავიგოთ სიღრმისა და მალაზიაში იყიდება მომხმარებლისთვის საქირო სპორტული საქონელი და რა ტანსაცმელით შეიძლება იმ მალაზიაში მსვლა. ინფორმაციის მასშახური მენაობს 10-დან 18 საათამდე (შესვენება 14-დან 15 ს.). ტელეფონი: 36-35-36.

მხიარული ფანქრით

სპორტული ლატარების მოყვრმა სამართლებლო შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ 6-49-დან და 5-36-დან 48-ე ტირაჟებისა.

„სპორტლოტო“ 5-38-დან: პირველი: 5 ციფრის გამოტყობისთვის მოგება 10000 მანეთი თბილისის — 157, სამსთების — 1.

მეორე: ხუთი ციფრის გამოტყობისთვის მოგება აქაც 10000 მანეთი, თბილისის — 218, სამსთების — 6.

„სპორტლოტო“ 6-49-დან: პირველი: ხუთი ნომრის გამოტყობისთვის მოგება 4573 მანეთი ხუთისთვის (შეღავათიანი მეთოდით) — 105, თბილისის — 1, სამსთების — 4.

მეორე: ექვსი (შეღავათიანი მეთოდით) ციფრის გამოტყობისთვის მოგება 5534 მანეთი, ხუთისთვის — 4534, ხუთისთვის (შეღავათიანი მეთოდით) — 86, თბილისისთვის — 61, სამსთების — 4.

რედაქტორი ბ. ბასილაძე

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 830006, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპონენტობის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორი — 98-58-14, 98-97-56; რედაქტორის მოადგილე — 98-66-47; მასშახურებელი მდიანი — 98-97-52; განყოფილებები: ფინანსების — 98-81-71, 98-97-54; მარტინგ-ფიზკულტურული მუშაობის — 98-97-55; სპორტის პროპაგანდის — 98-97-51; ნოსწყაფე და ხოფლის ახალგაზრდობის — 98-97-53; ქორეაქსი — 98-97-28; სამხატვრო — 98-97-58; წერალების — 98-97-54; კორექტორები — 98-97-49; გამოშვება — 98-98-81; ფოტოლაბორატორია — 98-97-58; შექმნალება — 98-97-57.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კავშირულ რედაქციებში გამოცემის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.